2-8733/25
26-06-2025

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალ სხვა კანონპროექტებზე (07-3/67; 11.06.2025)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2025 წლის 23 ივნისის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, გურამ მაჭარაშვილის და აკაკი ალადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (07-3/67; 11.06.2025).

I. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი არსი

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით დაინერგება ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას გამარტივებული წესით აინაზღაურონ მიყენებული ქონებრივი ზიანი.

შემოთავაზებული ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაინერგება დაყადაღებული ქონების მიზნობრივი განკარგვის ინსტიტუტი. ამასთანავე, შესაძლებელი იქნება დაყადაღებული მოძრავი ქონების კაპიტალიზაცია.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თანახმად, მოწესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულის შედეგად

მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აღსრულებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

ამასთანავე, დარეგულირდება დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ ღონისძიებასთან - საქართველოდან გასვლის აკრძალვასთან - დაკავშირებულ საკითხები.

II. კომიტეტის შეფასება

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მიზნად ისახავს კანონმდებლობაში დაინერგოს მოქნილი და ქმედითი მექანიზმი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას გამარტივებული წესით აინაზღაურონ მიყენებული ქონებრივი ზიანი. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაინერგება დაყადაღებული ქონების მიზნობრივი განკარგვა და დაყადაღებული მოძრავი ქონების კაპიტალიზაცია, რაც დაზარალებული პირებისთვის ზიანის ანაზღაურება კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, ერთი მხრივ, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო, მეორე მხრივ, დაინერგება დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ ღონისძიება - საქართველოდან გასვლის აკრძალვა. აღნიშნული კი უზრუნველყოფს როგორც მსჯავრდებული პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან თავის არიდების შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას, ისე - ახალი დანაშაულების პრევენციას.

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, გურამ მაჭარაშვილის და აკაკი ალადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (07-3/67; 11.06.2025) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
არჩილ გორდულაძე